თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5794503

ნომერი: AR1876339

თარიღი : 04.02.2022

გაცემის თარიღი : 07.02.2022

გაცნობის თარიღი : 08.02.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ლეო კვაჭაძის ქუჩა, N 24;

დამკვეთი-განმცხადებელი

- პავლე მაღრაძე პ/ნ 01008018126
- წყნეთის გზატკეცილი N2 ბინა 16

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 04 თებერვლის №5788719 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 04 თებერვალს №AR1876339 განცხადებით მომართა პავლე მაღრაძემ და მოითხოვა სამსახურის 2022 წლის 04

თებერვლის №5788719 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება მშენებლობის ვადის მითითების ნაწილში.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2022 წლის 04 თებერვლის №5788719 ბრძანებით №72.16.18.433 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა საავადმყოფოს კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 04 თებერვლიდან 2023 წლის 04 აგვისტოს ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2022 წლის 04 თებერვლის №5788719 ბრძანებაში შეცდომით იქნა დაფიქსირებული მშენებლობის ვადა, კერძოდ: „მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2022 წლის 04 თებერვლიდან 2023 წლის 04 აგვისტოს ჩათვლით“ ნაცვლად დაფიქსირდა ,,მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2022 წლის 04 თებერვლიდან 2022 წლის 04 აგვისტოს ჩათვლით“.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ 2021 წლის 02 დეკემბრის №AR1865455 განცხადებაზე წარმოდგენილ იქნა მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკი 18 თვეზე და სამსახურის 2022 წლის 04 თებერვლის №5788719 ბრძანებით მშენებლობის ვადა უნდა განსაზღვრულიყო 2023 წლის 04 აგვისტოს ჩათვლით. თუმცა, ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის შედეგად არასწორად დაფიქსირდა. ამასთან, სამსახურმა დაადგინა, რომ ბრძანების პირველ პუნქტში საპროექტო ობიექტის მისამართი და საკადასტრო კოდი არასწორად დაფიქსირდა. საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 882021858089, მომზადების თარიღი: 19/10/2021 წ.) შესაბამისად, საპროექტო ობიექტის საკადასტრო კოდს წარმოადგენს - №72.16.18.433, ხოლო, მისამართს - ქ. თბილისი, ლეო კვაჭაძის ქუჩა №24.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2022 წლის 04 თებერვლის №5788719 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 04 თებერვლის №5788719 ბრძანებაში და:
1.1 ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „1. შეთანხმდეს: ქ. თბილისში, ლეო კვაჭაძის ქუჩა №24-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №72.16.18.433), საავადმყოფოს კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.“.
1.2 ბრძანების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „3. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2022 წლის 04 თებერვლიდან 2023 წლის 04 აგვისტოს ჩათვლით.“.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 04 თებერვლის №5788719 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 04 თებერვლის №5788719 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.